

რედაქცია

სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: В. Тифлисе, 1-я редакция «Дროება»

«დროების» ფასი

თბილისის წლისა . . . 9 მან. საშის თვისა . . . 3 მან. ექვსის თვისა . . . 5 მან. გრეთის თვისა . . . 1 მან.

დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განსხვავებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, ჩაქაჩუნდება განაწარმება და შეამოკლებს დასახელებად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბეჭდებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპიცი

მიიღება ხელის-მოწერა

მოძიებულ 1884 წლისათვის ვახუშტის

დროებაზედ

(წელიწადი მეცხრამეტე)

თბილისში, «დროების» რედაქციის კანტორაში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველი კლასიკური გიმნაზიის უკან.

თელავში, ვანო როსტომაშვილთან.

ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში, ბელვართან.

ბათუმში, წერა-კითხვის სკოლის მასწავლებელ მ. ი. ნათაძესთან.

გორში, საზოგადოების დეკანოზში, ალალო თუთაევთან.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: В. Тифлисе, 1-я редакция «Дროება».

ფასი ხელის-მოწერისა:

| | |
|---------------------------|--------------------------|
| წლით (12 თვით) — — 9 მან. | 6 თვით — — 5 მან. |
| 11 თვით — — 8 მ. და 50 კ. | 5 თვით — — 4 მ. და 50 კ. |
| 10 თვით — — 8 მან. | 4 თვით — — 4 მან. |
| 9 თვით — — 7 მ. და 50 კ. | 3 თვით — — 3 მან. |
| 8 თვით — — 7 მან. | 2 თვით — — 2 მან. |
| 7 თვით — — 6 მან. | 1 თვით — — 1 მან. |

სოფლის მასწავლებელთათვის წლით—7 მან., 6 თვით—4 მან., 3 თვით—2 მან.

ხვედრი თუელი ხელის-მოწერა გაზეთის დაბარებისათვის უნდა გამოგზავნოს რედაქციაში.

არაბი-ფაშის მოადგილე

თბილისი, 8 დეკემბერს.

ჯერ მკითხველებს დაეწვიებოდა არ ექნებოდათ, რამდენი უსამართლობა მოაყენა შარშან არაბი-ფაშამ ინგლისელების ჯარს. ჯერ კიდევ ამ ჯარს მშვიდობიანი ცხარება არ უგებია ეგვიპტეში და აი უცრად ამ ქვეყნის სამხრეთის მხარეს იხიან თავი მეორე არაბი-ფაშამ, ცრუ წინასწარმეტყველმა მახდომ, რომელმაც თავისი

მოქმედება იმით დაიწყო, რომ მუსრი გაავლო ათი-ათასს ეგვიპტელს და მათ მოთავე ინგლისელებს. არამცთუ ჯარი სრულიად ამოსწყვიტა, რომ იტყვიან მოამბეც აღარაინ გადარჩა, სწორედ ისე მოუვიდათ ინგლისელებს; მახდომ კორესპონდენტებს კი დაახლოვინა, რომელნიც ინგლისის გაზეთებისაგან იყენენ გაზაფხილნი და, სხვათა შორის, «დელი-ნუსის» გამოჩენილი კორესპონდენტი ოდონოვანი, რომელმაც მთელი აზია

«დროების» ტელტონი, 8 დეკემბ.

ლიტერატურული შენიშვნები

(«ივერიის» № X, ოქტომბერი)

«ივერიის» უკანასკნელი წიგნი მეტად ღირსეულია: იგი შეიცავს მხოლოდ ორიოდ წერილს, უფრო სპეციალურის ხასიათისას; ზოგიერთი ჩვეულებრივი განყოფილებანი ქურნალისა სრულიად არ მოიპოვება ამ წიგნში და ამიტომაც, ცოტათი არ იყო, მკითხველი გულ-მოუგებელი რჩება.

მეთე წიგნში ჩვენ ვკითხულობთ მ. ჯანაშვილის წერილის დასასრულს («ქართულ ხალხის მწერლობა და განათლება მე-VI საუკუნემდე»). პირველი ნაწილი ამა წერილისა დაბეჭდილი იყო «ივერიის» მეცხრე წიგნში, და მაშინ ჩვენ მის თაობაზე შეძლებისა და გვარად ვრცლად მოვილაპარაკეთ «დროების» მე-218 №-ში. მაშინ ჩვენ ვლაპარაკობდით მ. ჯანაშვილის ნაწერის საზოგადო ხასიათზე და ვუჩვენეთ მკითხველებს ის საშუალებანი, რომელთაც ზრახვენ ჩვენს მწერლობაში ზოგიერთი მწერალნი—ისტორიკოსნი, ჩვენ მაშინ

ვე დავუასეთ ამ გვარ მწერალთა მნიშვნელობა ისტორიულ მწერლობაში და გამოეთქეთ ჩვენი აზრი შესახებ მათი მოღვაწეობისა. ჩვენის აზრით ის უცდომილებანი და მოსაზრებანი, რომელთა მიმდევარია მ. ჯანაშვილი, მართა ამ უკანასკნელს არ ეკუთვნის და შეადგენს ზოგიერთა სხვა მწერალთა საკუთრებასაც, და თუ მ. ჯანაშვილის ნაწარმოები ვაფარჩიეთ, გავარჩიეთ მხოლოდ იმისთვის, რომ ამას მოითხოვდა ქურნალის მიმომხილველის მოვლეობა.

დასასრული მ. ჯანაშვილის წერილისა იმავე ღირსებისაა, როგორისაც იყო დასაწყისი, და თუ მის შესახებ ბაასი ვაფარჩეთ, ნათქვამის გამოვრება დავეჭრებოდა, რადგან ამ შემთხვევაშიაც საქმე გვაქვს გამოუტყვევალ ისტორიულ მოსაზრებასა და ნაკლებად შემუშავებულ ისტორიულ ცნობებთან, რომლებიც ვართობ უხვად შემკობილია ჩვენთა მშობლიურ ისტორიკოსთა ნაწერები.

მ. ჯანაშვილის ერთობ ბევრი ფაქტები მოჰყავს თავის წერილში და, უნდა შევიძინოთ, ძალიან დაუღაცებლად და გაურჩევლად.

მოიარა და ბოლოს აჭრიკის ვერანა ადგილებში ეწია ულმოზელ ხვედრსა.

საკვირველია ინგლისელების ბედი: თითქო თვით ილბალი, მათდა საბედნიეროდ, თუ საუბედუროდ, — არ ვიცით, ხელს უმართავს, რომ ქვეყნის ყოველს ლამაზ ქვეყანას კოლონიად ისაკუთრებდენ. ის იყო, აპრობდენ მკვიბტიდამ გამოსვლას, ნავები დამართულნი იყენენ, ჯარსაც წასასვლელად მომხადება ჰქონდა ნაბძანები და სწორედ ამ დროს ჩნდება ნილოზის სათავესთან მახდი და ინგლისის მძბანებლობის ქვეშ მყოფი ჯარის დამარცხებით თითქო იწვევს ინგლისელებს მკვიბტეს თავს ნუ დაანებებთო.

მართლაც და რამწამს მახდომ გაიმარჯვა, ინგლისელ ჯარს ბძანება მოუვიდა მზადებისათვის თავი დაენებებინა და ისევ მკვიბტეში დარჩენილიყო.

მახდისთან ბრძოლა ისე ადვილი არ არის, როგორც არაბი-ფაშასთან იყო.

ინგლისს არ უჭირდება გამარჯვება, როცა რომელსამე კუნძულთანა აქვს საქმე, ან ზღვის პირად მდებარე კოლონიასთან. მისი ჯაფშინანი ხომალდები მარდად შემოერთებენ გარს აჯანყებულ მხარეს და ინგლისის უფლებას აღიარებინებენ. მე არ არის სუდანში, სადაც წინასწარმეტყველობს მახდი. აქაც ზღვია, და აქაც

ხომალდები არიან საქირონი ბრძოლისათვის; ზღვია, მაგრამ ზღვა ცხელის ქეიშისა, რომელიც ყოველისფერს წაგრაგნის ხომალე და უჩვეულო ადამიანს არ აბოგინებს; ხომალდებიც არიან, მაგრამ არა ჯაფშინანი ხომალდები, არამედ ყოველისფერის ამტანი აქლებები, ურომლოთაც ამ უღაბნობეში ფეხის გადადგმა შეუძლებელია. თქმა არ უნდა, ინგლისელები ისე მოაგვარებენ საქმეს, რომ ამ უღაბნობესაც გაუძღვენ, მაგრამ როგორ გაუძღვებიან მოსლემინთა ჭანატიზმს, რომელიც ამოქმედებს მახდის და მის მომხრეთა. მს ბრძოლა ორს ხალხს შუა ბრძოლა კი არ არის, ეს არის ბრძოლა ინგლისელების უკუღმართად მიმართული ცივილიზაციისა აღმოსავლეთის ჭანატიზმთან, რომელიც იქაურის ხალხის გაჩურბულს გონებას ოცნებებით აესებს და რომელსამე გმირს, წინასწარმეტყველის ხარისხით შეჭურვილს, ასიათასობით ხალხს უმონებს. მს მით უმეტესად საშიშია ინგლისელებისათვის, რომ უუღიდესი კოლონია მისი, ინდოეთი, უფრო მოსლემინებით არის დასახლებული და შეიძლება მახდის ქადაგებამ იქამდისაც მიღწეოს და მთელი ინდოეთი აუჯანყოს. მაშინ ძნელი სათქმელი იქნება, ვის დარჩება გამარჯვება—ყოვლად ძლიერს ინგლისს, თუ უბრალო დურგლის შვილს მახდის.

შენელობისა არიან ეს უკანასკნელნი, მკითხველი ადვილად მიხედება. ხანდისხან მ. ჯანაშვილი მოუთხრობს და განუმარტებს მკითხველს ისეთს თვალსაჩინო ფაქტსა, რომელიც უშიშროთაცა შესაძლებელია: მ. ჯანაშვილის შეუტყვია, რომ ტერი, მუშე, ლეონტი, მიაქი, მინტი და დანანი ქართულს სკოლებში ოსტატებად ყოფილან; ისინი ქართულს წერა-კითხვას ასწავლიდენ ქართველს ქმარელებს. ახალია, რომ დასახლებულ ოსტატთ ქართული წერა-კითხვა სკოლანათ, მაგრამ მამა ჯანაშვილი დარბაისლურად მოგვითხრობს, რომ ტერი, მუშემ და სხვ. იცოდენ ქართული ენაო; იმათ რომ ქართული წერა-კითხვა არა სკოდნოდათ, ვერც ქართულს ენაზედ წერა-კითხვას ასწავლიდენ ქართველთ ქმარელებს («ივერიის» № 10, გვ. 9), ბძანებს მ. ჯანაშვილი.

აქედგან სჩანს, განგარძებს ავტორი, რომ მე-V საუკუნეში ქართველთ შორის იყენენ განათლებულნი და განვითარებულნი სწავლა-მეცნიერებით პირნი, რომელნიც წინ მიუძღოდენ ერის განათლების საქ-

შინაური ქრონიკა

მ. დაწვევებილია, რომ პირველის იანვრიდან აქეთა მხრის ზოგიერთა მხარეში დანიშნონ ექიმები, რომელთაც ყოვლობათან ზღვრები, ბებები, და აგრეთვე ზოგიერთა სოფლებში იქნება გამართული ავად-მყოფებისათვის თავისუფალი სახლიც. ამ ექიმებმა სოფლად უნდა იცხოვრონ და იგივე დანიშნულება ექნებათ, რაც რუსეთში ერობის ექიმებსა აქვთ.

ზორის მხარეშია გვწერენ: შემდეგ თ. ამირინდო ამილახვარის მხარის უფროსად დანიშნისა ტაკიოზა და ქურდობა ძალზედ შემცირდა; სხვა-და-სხვა მოსულთბაგან გლეხების დაწოკებაზედ აღარა ისმის-რა; მამასახლისებიც ძნელად სადმე ბედვენ უკანონოდ ღვინისა და ქათმების მოკრეფას და ისიც მალვით. მხარის სამმართველოს მოხელეთაც ფერი იცვალეს, თითქო ზღილობა ისწავლეს, ყველას თხოვნას უურადლებით ისმენენ და დიდხანს აღარავეს ალოდინებენ უწინდელბურად.

ზორიდანვე გვწერენ: გუშინ სალამოს, 5 დეკემბერს, ხუთ საათზედ, ისეც ლიხვისგან აოხრებულ უბანში, წმინდა წყალზედ, სამონაოვის ფიცრის სახლები ერთ საათში საძირკვლამდინ დაიწვა. იღბალი დანარჩენი მოსახლეებისა, რომ ქარი არა ჰქროდა, თორემ მთელი უბანი გადაიწოდა; პოლიციამ კი მოხელა განვლებულს ცეცხლსა, მაგრამ ქალაქის გამგეობას ვერც კი გაუგია. მეაკვირებს ამათი საქმე: რა ხელოვნება არიან, თუ ამისთანა მდგომარეობაში ხალხს არ დაეხმარებიან. ცეცხლის საქრობი მამს (გვ. 9). აი, რა რიგად განუმარტებს პატივცემული ავტორი მკითხველებს რომელსამე ფაქტს და როგორ დინჯად და გულდასმით სჯის რომელიმე თვალსაჩინო და ადვილად გასაგებ ისტორიულს ცნობაზედ.

თუ როგორის აჩქარებით და უსაბუთოდ წარმოსთქვამს ხოლმე მ. ჯანაშვილი რომელსამე აზრს, იმასაც ვუჩვენებთ მკითხველებს. წერილის პირველს ნაწილში მ. ჯანაშვილი ამბობდა: უეჭველია, რომ ამავე დროს (ე. ი. 302 წ. მისტის დაბადების უწინარეს, როცა შარნავაზ მეფემ, ზოგიერთთა აზრით, «მხედრული» ასოები შეადგინა) დაიწყო ქართული ლიტერატურაც: არ შეიძლებაო, რომ ასოების გამოგონებასთან რაიმე არ დაეწერათ მოსწავლ ყრმათათვის საკითხავადაც («ივერია» № 9, გვ. 4). წერილის მეორე ნაწილში კი («ივ.» № 10, გვ. 9) ავტორი ბძანებს: «უნდა ვაფიქროთ, რომ იმათ (ე. ი. ტერის, მუშეს და სხვებს, რომელნიც სცხოვრებდნენ მე-V საუკუნეში მისტის დაბადების შემდეგ) სწავლებისათვის სახელმძღვანელო წიგნები არა ჰქონდათ სამშობლო ენაზე სკოლებში სახმარად და ამისათვის

შინა რომ მოიტანა ქალაქმა, მამ რად გენდა, თუ ამისთანა დროს არა. ზამგეობის წვერს ბ. ანდრონიკოს აბარია თურმე ეს ცეცხლის საქრობი იარაღი და ჩაკეტის ოთახში უძევს. მერე ეს წვერი ქალაქს გარეთა სცხოვრებს; მინამ მას იბოვიან, მინამ ჩამოვა და მაშინას გადასცემს ხალხსა, მინამ, შეიძლება, მთელი ქალაქი გადაიწვას».

სოფ. ლანხუთილამ (მზურგეთის მხარე) გვწერენ: «თუმცა ჩვენი სოფელი რკინის გზის სტანციიდან რამდენსამე საყრდენ მდებარებს, მაგრამ არავითარი წესი არ არსებობს ვაჭრობისა. ტაქსაში გირვანქა პური ოთხ-ხუთ კაპეკათა სწერია და აქ კი ექვს კაპეკათა ჰყიდიან, ისიც მეორე სორტისას და ხშირად ტალახსავით გამომცხვარს; შაქარი აქ სტანციასთან ოც-და-შვიდი კაპეკია გირვანქა და მზურგეთში კი, სადამდისაც ოცი ვერსი ურმით უნდა ატარონ საქონელი, ოც-და-ხუთი კაპეკი ღირს».

რუსული გაზეთების სიტყვითი ბაქოში ნავთის მწარმოებელთა განუზრახვით აქცრებით ბანკის დაარსება ნავთის წარმოების საქრობისათვის.

ღვს, ხუთშაბათს, «ღროების» რედაქციის ზალაში ჩვეულებრივი კრება ტერმინების შესამუშავებლად.

მასწავლებელთა კრების თარიღები (გადადგომის სტატისა გამო)

არა ერთხელ «ღროების» ფურცლებზე შევხვდებოდა მკითხველი მასწავლებელთა კრების აუცილებელ სა-

უაიღენ სირიას, საბერძნეთს, ალექსანდრიას და სხვ. და სხვ. როგორცა სჩანს, მ. ჯანაშვილის აზრით, ქართველებს ჯერ ანბანის მოგონება ვერ მოეწიროთ და «მოსწავლ ყრმათათვის» საკითხავი კი დაუწერიათ. ეს სჩანს წერილის პირველი ნაწილიდან. მეორე ნაწილში კი მ. ჯანაშვილი გვატყობინებს, რომ ანბანის გამოგონების რაოდენიმე საუკუნოების შემდეგ, ქართველები სირიაში, პალესტინაში და სხვაგან გარბოდნენ «მოსწავლ ყრმათათვის» საქრო წიგნების სათარგმნელად, რადგან შინ არ მოეძებნებოდათ. შევკვლია, მკითხველს უფლება აქვს იკითხოს, როგორ მოხდა, რომ ქართველებს შარნავაზის დროს ყმაწვილებისათვის საკითხავები ჰქონდათ და რაოდენიმე საუკუნის შემდეგ კი, როცა სწავლავანათლებამ უფრო გაიდგა ფეხი საქართველოში, არ ებადათ სახელმძღვანელო წიგნები?

მსრეთი მოსაზრებანი პირველის შეხედვით მკითხველისათვის ერთი ერთმანერთის წინააღმდეგნი არიან. მამა ჯანაშვილს ჰმართებდა ამ შემთხვევაში მეტი გარკვევა თავისი აზრისა. მას უნდა ეთქვა, რომ ქართველებს მე-

ტირობებზე ლაპარაკს და კიდევ იმაზე, რომ ამ საქრო საგანზე არ არის ჯეროვანი ყურადღება მიქცეული.

მართლაცა და არაფინ უნდა ექვიანობდეს, რომ ამ საგანზე მასწავლებლების ცხოვრების წინმსვლელობისათვის ამ გვარს კრებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ. მარგია, რასაკვირველია, ერთად თავის მოყრა, ერთიერთმანეთთან ბასი, ფიქრებისა და აზრების ვაზიარება, პედაგოგიური საგნების შემუშავება და გადათვლიერება. მაგრამ საქმე ის არის, — თუ კრებას ვინ ხელმძღვანელობს — ვინ არის მიხი მოთავე, მისი მიმყოლომამყოლო? ძრებას აუცილებელი დამოკიდებულობა აქვს ხელმძღვანელებთან; როგორც არის საქმის მიმძლოლო, ისეთი ფერი აქვს კრებასაც. მულწრფელი და სინდისიანი და არა პოლიტიკანების მიმდევარი კრების მოთავე — ნამდვილ გულწრფელ და პედაგოგიურ ხასიათს მისცემს კრებას. ძრების თავი აუცილებლად უნდა ხელმძღვანელობდეს მართო პედაგოგიური დედა-აზრებით. მასწავლებლებსა და მათ შორის არაფერი არ უნდა იყო განსაზღვრული, მასწავლებელი კრების მოთავესთან ერთად უნდა კრების მსვლელობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდეს და არა მართო იმისთვის იბარებდენ მას, რომ მოწმად დაესწროს კრებაზე.

მოვიგონათ, მაგალითად, ამას წინად მეთაისში მომხდარი კრება მასწავლებლებისა. მანა ამისთანა კრებებს რაიმე მნიშვნელობა ექნება ჩვენთვის? მასწავლებლები ლაპარაკობდენ ერთსა, საქმის გამგენი სხვ. სა...

რუსეთშიაც დიდი ხანი არ არის, რაც ამ სასიქადულო მოვლენამ აიდგა ფეხი და ვისი წყალობით? რასაკვირველია, იმისთანა პედაგოგების

ხუთე საუკუნეში, შეიძლება, არა ჰქონოდათ საქრისტიანო. საკითხავი წიგნები და ამათი შეძენა, ან გადათარგმნა ესაქრობებოდათ. რაც უნდა იყოს, ავტორს ნება არა ჰქონდა ელაპარაკნა იმის თაობაზე, თუ რა დანიშნულება ჰქონდა ტერის, მუშეს და სხვ. გამგზავრებას უცხოეთისაკენ. ისტორიული ცნობები ნებას არ აძლევენ ავტორს დაბეჯითებით იფიქროს, თუ რისთვის უაიღენ საქართველოდგან აღნიშნულნი პირნი.

აი იმის მაგალითი, თუ როგორ ნაძალადევად ხსნის ავტორი ზოგიერთა ისტორიულს ცნობებს. მითი ვიდაც ლეონტი, რომელიც მასწავლებლად იყო ქართველთ სკოლაში ისპირს, მი სე მორენელის მოწმობით, უკან ვაჰყოლია მესრობის მოწაფეთ სირიაში და საბერძნეთში. რა ტომისაა ეს ლეონტი არ ვიცით და არც ისტორიაშია ცნობილი, მაგრამ მ. ჯანაშვილს სურს მისი გაქართველება. ამისათვის მ. ჯანაშვილი წამოიძახის: «ვინ იყო ლეონტი, თუ არა ქართველი?» (გვ. 10); თითქო ლეონტის ნება არა ჰქონდა სხვა ტომისა ყოფილიყო. მერმე ავტორი განაგრძობს: «ნუთუ ესეც იმისათვის

მოქმედების წყალობით, როგორც იყო განსვენებული მწიგნობარი. რუსეთშიაც და დასავლეთში მსჯავრებულნი კრებებს დიდ მნიშვნელობას აძლევენ და რიგიანათაც სწარმოებენ ივინი. იქ მასწავლებლებსა და კრებების ხელმძღვანელთა შორის არა არის-რა წინააღმდეგი, იქ გულ-წრფელად გამოთქმულ აზრებისათვის არა ვის რა ეწება. მითი აზრით და გრძობით გატაცებულნი საქმის წინმძლოლნი და მასწავლებელნი არჩევენ კრებებზე ყოველ გვარ პედაგოგიურ საგნებს, იკვლევენ ახალ-ახალ მეთოდებს სწავლისათვის და სხვ. ჩვენშიაც კარგი სქნება ამ გვარ გულწრფელობას მოვეწრობოდეთ...

სოფ. მსწ. ჭოჭობა. რუსეთი

გაზ. «რუსია გერაქსა» სწერენ შეტურბურგადგან: «ამ ქალაქში გავრცელდა ხმები, რომ დღე-დღეზედ კლდე-ბიან «შეტურბურგის საქალაქო გამსესხებუი ბანკის გაკოტრებასა. ვალი ედება 142,000,000 მანეთი. იმავე ხმე-ბიანა სჩანს, რომ გაკოტრების მიზეზი გამსდაწა ვალის ამოულებლობა იმ სახლებიდან, რომლებსუდაც ირცხებოდა ვალი და არ კი ისდიდენ. გასასუიდად დანაშნულ დროზედ აღმოჩნდა, რომ სახლებს არავინა უიდეულობდა, რადგან ფასები საგირავოდ მიდებუი სახლებისა გაცილებით აღქატკოდადენ მათს ნამდილ დირბულობას და კიდევ იმიოტომ, რომ ნასუკარზედ მეტი სადგურები გაუქირავებულნი ყოფილან.

ამ ხმების გამო გასუთებში წერალია დაბუჭდილია შემოხსენებუი ბანკის დი-

გაჰყვა უკან სომხებს, რომ წიგნები ეთარგმნა სომხებისათვის და არა ქართველ სკოლებისათვის? საეჭვოა, რომ ლეონტის სომხურს ენაზე წიგნები ეთარგმნოს» (გვ. 10). ჩვენ არ გვესმის, რისთვის დასქირდა მ. ჯანაშვილს ლეონტის ქართველობა. ხე-მით მოყვანილი კითხვების მაგიერ ჯანაშვილს უნდა დაემტკიცებინა, რომ ლეონტი ქართველი იყო და მერმედ შეეძლო ელაპარაკნა იმაზე, თუ რა ენაზე სთარგმნიდა იგი წიგნებსა. მ. ჯანაშვილმა კი ვერც ლეონტის ქართველობა დაამტკიცა, ვერც ისა, თუ რა ენაზე სთარგმნიდა იგი წიგნებსა.

შოველივე ნათქვამიდანა სჩანს, რომ მ. ჯანაშვილი ერთობ თამამად ეპყრობა ისტორიულს ცნობებს და ხშირად ძალასაც ატანს; ამიტომაც იმისი ნაწერი კარგავს იმ მნიშვნელობას, რომელიც მას უნდა ჰქონოდა. შევლა იმ ცნობებიდან, რომელნიც მოჰყავს მ. ჯანაშვილს, ცხადია, რომ იმ დროებში ქართველებს ჰქონათ სწავლა-განათლება; ეს აზრი ჩვენ შეურყეველ ქემმარტებად მიგვიჩნია. მაგრამ მ. ჯანაშვილის ნაწერი ამ აზრზე შორს არ მიდის. იმის ნაწე-

რეკტორისა, რომელშიც ამ სემეს უსაფუძვლეს უძისა.

— გაზ. «ნოვოე ვრემიაში» კვითხულობთ ქ. კეტერინოსლავადამ გავსახინდეს ამბავს, რომელითგანაც სხანს, რომ კეტერინოსლავის გუბერნიის აზნაურობამ აღძრა შეშინებლობა, რომ მისპობილ იქმნას კანონი, რომლის ძალითაც სამკვიდრებობა გადასვლის დროს ერთმეათ სახელმწიფო გადასახადი, უკეთუ სამკვიდრო გადას შეიღებულად ანუ ცოლზედ.

— «რუსეთის კვადრატები»-ს აზვარი შიდგანს სხანს, რომ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში ძალიან შესამჩნევია მატულობდა შემოსავალი სპირტისა და აჩუის აქციზისა: 1880 წელს შემოსავალი იყო 295,437,794 მანუთი, შემდეგი წლისამ აიწია 203,235,885 მ., და წარსულ 1882 წელს 228,742,298 მანუთამდე მიადწია. ამ მდგომარეობა წარსულ ნახევარშიც შემოსავალი აღემატება წინა წლის ნახევარს 327,000 მანუთით. აქციზის გაძლიერებასთან, მატულობს აგრეთვე ვატენტის შემოსავალიც. აქედან ცხადათა სხანს, რომ რუსეთის იმპერიაში თავად სახინათა მრავლებიან სპირტისა და აჩუის გამოყიდვები დუქნები და მარნები. რომ უფრო აღვიღად წარმოადგინოთ ეს გამოყიდვება, სკამარისა მთავოვნოთა, — ამბობს გასეთი, — რომ ვატენტის შემოსავალი, მაგ., 1881 წლისა იყო მხოლოდ 13,202,604 მანათი; შარშან კი აიწია 21,984,677 მანუთამდის.

უცხოეთი

— უცხოეთის გასუთებში კვითხულობთ იმ შირობებს, რომელნიც ვითომ

რიდგან არა სხანს, თუ რა გზას აღვა საქართველოში სწავლავანთაღებობა; როგორ მოქმედებდა ეს უკანასკნელი საქართველოს ცხოვრებაზე, პოლიტიკურს წესწყობილებებზე და სხვ. და სხვ.

ჩვენ ერთობ ბევრი ვილაპარაკეთ მ. ჯანაშვილზე და ამიტომაც შეესწყვეთ მასზე ლაპარაკს; აქ მხოლოდ ვაცხადებთ სურვილს, რომ მ. ჯანაშვილმა სამემორსოდ შანს აიცილოს თავიდან ჩვენ მიერ ნაჩენი შეცდომილებანი.

მხლა კი დროა შევუდგეთ თ. ლადიშველიანის წერილის გარჩევას («მოკლე განხილვა საქართველოს მხედრობისა, 1089—1222 წლამდე»). ეს წერილი ფრიად საინტერესო და მნიშვნელოვანია ზოგიერთა მხრით; ის პირველი ნაბიჯია საქართველოს სამხედრო ისტორიის შესწავლისა ჩვენს მწერლობაში, და, მართალი უნდა ვთქვათ, ნაბიჯი ესე სწორედ მოხერხებულია, რადგანაც ავტორს დაუცავს ყველა ის პირობები, რომელნიც მის დედა-აზრს ნათლად გამოხატენ. დარწმუნებული ვართ, რომ დღემდის ქართველობის უმრავლესობა იმ აზრისა იყო, ვითომც ჩვენ,

წარუდგინა უიულო-ქურთისათვის ჩინეთის ელჩს, მარჯვ მენგს, რათა მოსპობს უთანხმოება საფრანგეთსა და ჩინეთს შორის. ჩინეთი თანახმა არის საფრანგეთის მიფლობელობა დამყარებული იყოს მარტო სონ-ტაიმდის, და არა წითელი მდინარის მთელ მარჯვენა ნაპირზედ. დანარჩენი ადგილები რჩებიან ანაშს, რომელიც ექვემდებარება ჩინეთს. თითონ წითელი მდინარე უნდა იყოს თავისუფალი სონ ტაიმდის და მასზედ ერთ ნაპირი უფლება ქმნდეს ყველა ხალხს. მხოლოდ მდინარის პოლიცია ჩაჭვარდება საფრანგეთს, რისთვისაც ჩინეთი დაუთმობს მას ადგილს მდინარის მარცხენა ნაპირზედ. სემა ტონკინის ქალაქებში, სონ-ტაიში, ბაკ-ნინში და გონ-გოში საფრანგეთს ეყოლება თავისი კონსულება, რომელთა დასაცავლად საფრანგეთს ეძლევა ნება იყოლიოს საჭირო ჯარები. ამ გვარი უფლება არც ერთს სხვა სახელმწიფოს არ ექნება მინიჭებული.

კიდევ უმატებენ, ვითომც ინგლისის ელჩი, ლორდი ლაინსი, ურჩევს ქურთს, რომ უკანასკნელი დასჯერდეს ამ შირობებსა.

— გასუთებში დაბეჭდილია წერილი სამუელ ბეკერისა, რომელიც ურჩევს ეგვიპტის მთავრობას, რომ მოამხროს თავისკენ ანისინის მეფე იოანე და იმასთან ერთად ებრძოლოს საშინელ მასდის. ამ შეერთებისთვის საჭიროა მხოლოდ, ეგვიპტემ დაუთმოს ანისინას ბოჯოსის მარცხ და ნაუთ-სადგური, რაიცა მისცემს იმას საჯარო გზასა. უამისოდ შეიძლება, ამბობენ, რომ თვით ანისინამაც რომი გამოუცხადოს ეგვიპტისათ.

— კაიროს უნივერსიტეტმა, ელ-აზ-ხანმა, საჭეუროდ აღიარა, რომ მასდა

ქართველნი, იმოდენად მამაცნი და მხნენი ვიყავით, რომ რაოდენიმე ასს ქართველს შეეძლო ათითათასი მტერი შეემუსრა ბრძოლის ველზე. ის კი არ აგონდებოდა ამ უმეტესობას, რომ ღონესთან ქართველობას ხერხიც არა ჰქონებია. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, რაც უნდა მამაცნი და თავდადებულნი ყოფილიყავით, მაინც დღეს ჩვენი სახსენებელიც არ იქნებოდა დედა-მამის ზურგზე. შრიცხვი მტერი, რომელიც ჩვენ არასოდეს არ გვეკლებია, უეჭველია, თავისი რაოდენობით გავსრისდა, თუ რომ მამაცობასთან სამხედრო ხელობაც არა გვეცოდნოდა. ბ. ლადიშველიანი მოგვითხრობს, რომ ჩვენნი წინაპარნი განვითარებულნი ყოფილან სამხედრო ხელობაში და ამ გარემოების წყალობით თავიც უსახელებით და სამშობლოც დაუცავთ ბარბაროს მტერთაგან. როგორც ავტორი ამბობს, ქართველებს უსწავლიათ რომაელთა სამხედრო ხელობა: ბიზანტიელებსაგან, მაგრამ ზოგიერთს შემთხვევაში განუფითარებიათ იგი. ის ჩინებული ომები, რომლებშიაც ქართველთ გაუმარჯვიათ და სახელი მოუხვეჭიათ, მომეტებუ-

ცრუ წინასწარმეტყველათ. ამბობენ, რომ ეს ხმა ძალიან შეაფიქრანებს მასდის მომხრეთ, რადგან ამ უნივერსიტეტს დიდ პატივსა სცემს მაჰმადიანობა.

— 1 დეკემბერს (19 ნოემბერს) მთელმა შორტუგლამ იდექასწაულა, ვატროტული მანიქესტაციებით, ჩვეულებისმებრ დღე თავისი განთავისუფლებისა ესპანისის ხელიდგან, რაიცა მოხდა 1610 წელს.

შალაგრაგვი

(«ჩრდილოეთის საავტონოსია».)

5 დეკემბერს.

მოვილევ-პოდოლსკი. ბესარაბიაში წესდება ღვინის მეტეებელთა საზოგადოება.

ეპატარინოსლავი. მფლვეველ საზოგადოებათა აგენტები, გამგეობათა განკარგულებით, ამცირებენ საზღვეველს შრემისა 30 შროც.

რომი. აქ მოვიდა გერმანიის მემკვიდრე შრინცი.

გონ-კონვი. საფრანგეთის რაზმი, რომელშიაც 6,000 კაცია, ვატარა საომარი გემების და ნავების ძლოტილით წავიდა სონტონისკენ და მის მანლობლად გამოვიდა ნაპირზე; მტერი არ დახვდა და იქვე დაბანაკდა; სონტონის დაეცემიან 12 დეკემბერს; მტერს 20,000 კაცი ჰყავს.

მენა. პოლიცია 1,000 გულდენს აძლევს იმას, ვინც პოლიციის ჩინოვნიკის ხლებეგის მკვლელს აღმოაჩენს. ეჭვი მიიტანეს მეპურე შაჭვაუზენზედ,

ლად მიფწერება სამხედრო ხელობის ცოდნას ჩვენს წინაპართაგან. ავტორი შეძლებისა-და-გვარად, დაწერილებით მოგვითხრობს, თუ როგორი იყო ქართველთ ჯარი, როგორ იყო იგი შეიარაღებული და რა ხერხებსა ხმარობდენ სპასალარნი მტრის მოსაგერებლად. როგორც სხანს, ჩვენს წარჩინებულთ მეფეთა და სპასალართა შეუგნიათ ისიც, რომ ჯარის სისწრაფით გადასვლ-გადმოსვლას ერთის ადგილიდამ მეორეზე და მტერზე უეცრად თავდასხმას დიდი მნიშვნელობა აქვს სამხედრო ხელობაში. იმავე აზრისა იყენენ ყველა წარჩინებულინი მეომარნი: ნაპოლიონ პირველი იმავე საშუალებით იმარჯვებდა მტერებზე და საკვირველის სისწრაფით თავსდაცხმოდა ხოლმე. სხვათა შორის, უმთავრეს მიზეზთაგანი თვით ნაპოლიონის სხეებისაგან დამარცხებისა იყო ის გარემოება, რომ საფრანგეთის ჯარები ნამეტნავად დასუსტდენ ხშირის ომისაგან. მთელი საფრანგეთის ხალხი დაიწოტა სისხლისაგან, და ნაპოლიონი ვერ აგროვებდა ისეთს მხნე და გაჭირვების ამტან მეომარებსა, როგორნიც ეპირეებოდა ურიცხვ მტერთა შესამუსრა-

რომელმაც მუშათა ურთილობაზე სიტყვა წარმოასტქვა და შემდეგ ხლებეგი გააცრიფა. დასტუნაფეს აგრეთვე სოციალისტები ტილ-ლები—მამადამპილი და სხვ. ამათზედაც ეჭვი აქვსთ, რომ ისინიც ერთვენ ხლებეგის მოკვლაში.

სო.ჩი.ა. შაბათს სახალხო კრებაში განიხილეს წინადადება შესახებ იმისა, თუ რა მდგომარეობაშია ბულგარიის საექსარხოსო კონსტანტინეპოლემი. გარეშე საქმეთა და სარწმუნოებათა მინისტრმა ბალაბანოვმა გამოაცხადა, რომ ბულგარიის მმართველობას არ შეეძლიან გულ-გრილად უყურა საექსარხოსოს მდგომარეობას. ამას გარდა ბალაბანოვმა სთქვა, რომ გაზვიადებულია ის ხმები, ვითომც კონსტანტინეპოლის საექსარხოსო გაეკმება სწაფდეთ; საექსარხოსო ძალიან შევიწროებული და გაჭირვებული არისო და ეს გაჭირვება თავიდან რომ ავაცილოთ, საჭიროა მოთმინებით და გონივრულად მოქმედება; ბულგარიას უფლება აქვს ამ საქმეში თავისუფლად იმოქმედოსო.

ზაბრამი. ხორვატიის სეიმი გაიხსნა. ახალმა ბანმა წარმოსტქვა სიტყვა, რომელიც ყველამ თანაგრძნობით მიიღო.

ნიუ-იორკი. გუბინ აქ მუშების მიტინგი იყო; აუარებელი ხალხი დაესწრო; სხვათა შორის, დაესწრო საფრანგეთის სოციალისტების წარმომადგენელი მოსტი, რომელმაც ამაფელვებული სიტყვა წარმოსტქვა.

ლონდონი. დღეს ჩამოახრჩეს

ვალ: უკანასკნელს წლებში ნაპოლიონი ვერ ახერხებდა ერთს ადგილიდგან მეორეზე სწრაფად გადასვლ-გადმოსვლას, რადგანაც მისი ჯარები შესდგებოდენ ჯერ კიდევ ნორჩ ყმაწვილებსაგან.

როგორცა სხანს ბ. ლადიშველიანის ნაწერიდგან, ქართველთ კარგი ძალი ჯარი ჰყოლიათ და ამასთანავე არც ის დაუეიწყინათ, რომ დიდი ჯარების მოძრაობისათვის საჭიროა კარგი გზები, ურომლოთაც შეუძლებელია სისწრაფით ჯარების მოძრაობა.

ბ. ლადიშველიანი დიდს სიფთხილით მოპყრობია ისტორიულს ცნობებს და მათი დამახინჯება არ მოუწადინებია; სასურველია, რომ იმის შემსწავლელნი, თუ «რა ვიყავით, ვინ ვიყავით ჩვენ ქართველნი ძველსა დროსა» იმავე სიფთხილეს გამოიჩენდენ ხოლმე თავიანთს ნაწერებში.

ნანეიშვილი.

ჯემსი კერის მკვლელი ო'დონელი.

კეზი. მეორე ინსტანციის სამსჯავროში ტისსა-ესლარის საქმის გარჩევა დაიწყო.

მადრიდი. ზორილიას მანიჩესტი, რომელიც ამართლებს ჯარის აჯანყებას და ურჩევს კიდევ აჯანყდენ, დაიჭირეს. საქმე სამსჯავროს გარდასცეს.

ნ დეკემბერს.

კუბურბუზი. აპირობენ ჭინანსთ სამინისტროში დააწესონ რჩევა სასამართლოს გაჭრობის წესების გარდასახედავად; ეს რჩევა გაათავებს თავის საქმეს დეკემბრის გასულს და ამისათვის ახალს წესებს წარუდგენს სახელმწიფო რჩევას მომავალი წლის დამდეგს.

სმებია, ვითომც ვადეწიქვიტოთ, რომ იმ პირობათ და ხელ შეკრულობათ, რომელნიც სათემო და სასოფლო მმართველობათა წიგნებში იქნებიან ჩაწერილნი, ძალა ჰქონდეთ და სასამართლოებში დამამტკიცებელ საბუთად მიიღებოდენ.

გუბინდელს ერთიერთ შორის მოხვედრულ საზოგადოების კრებაზე ჰქონდათ ლაპარაკი იმის შესახებ, რომ შეადგინონ თანხა იმ საზოგადოებათა დასახმარებლად, რომელნიც ახლად დაარსდებიან და გაჭირვებულ მდგომარეობაში იქნებიან. კრებამ მიიღო აგრეთვე გუბინის დასკვნა შესახებ კრებათა ორ ნაწილად განყოფილა: საზოგადოდ და სამაზროდ, და ამ კითხვის დაბოლოებითი შედეგება შემდეგი კრებისათვის გადასდვა.

კომისია, რომელსაც მინდობილი აქვს ტურგენივის ძეგლის დადგმა, პროექტს ადგენს, რათა ზედ საფლავზე ააგონ დიდი მარმარილოს თლილი ქვის ძეგლი და ზედ დააწერონ: «ტურგენივი». საფლავი უნდა მოერთონ საუკავილეთი და გარეშემო რკინის მოაჯირი გაუკეთონ.

პარიზი. ჭერრიმ აწუხა პალატას, რომ ჭრანცუხები უკვე მივიდნენ სონტაიზე.

რომი. ოპიკიალური გაზეთი გერმანიის მეკვიდრე პრინცის მოსვლის თაობაზე ამბობს, რომ იგი მოვიდა რომში თავის მშობლის წარმომადგენლად რათა კიდევ დაამტკიცოს მეგობრული გრძნობა გერმანიისა და განამტკიცოს ის გულისთადი მეგობრობა, რომელიც აერთებს ამ ორ სახალს და ორსა ხალსს.

სახალხო განათლების სამინისტროს ბიუჯეტის განხილვის დროს, დეპუტატმა გამოაცხადა სამინისტროს თანხმობა და სთქვა,

რომ კაბინეტის არსებობა შეუძლებელი იქნება, თუ განათლების მინისტრს ნდობა არ გამოეცხადება.

განსჯალბანი ინგლისის მალაზია Maison de confiance

| | |
|-------------------|--------------|
| შეღარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაი |
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 ს. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუგუთო 2— | 3— |

იქვე ისეილება სხვა საქონელიც: თაფლი, რეკლავები, კრაფტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასადები, დაწები, კოვები, ტაშები, ვალები, ქაღალდი, შოკოლადი, კაგო, კანფები, მურაბები, მაგუნაა, უნაგირები, კლეონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახსტები, მაკინტოშინ კაღვგორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პრაცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსაჲ მალაზიაში.

ვინც ქაღალს გარკდამ 25 მანეთადამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოაწესს, გასაგზავნს არაფერს არ ისალს. (100—72)

МУКА А. М. БРОДСКАГО ИЗЪ ОДЕССЫ.

ბ. მ. ბროდსკის შპვილი ოდესიდან.

შეორჩილესად ვაცნობებ პატივცემულ პუბლიკას, რომ მე ერთად ერთი აგენტი ვარ მთელს ძავკასიაში და ვაეღე სამუდამო სკლადი ქ. ბათუმში «ოდესის სასტუმროს» ქვეშ.

ზარეშე ქალაქებიდამ შეუძლიანთ მიმართონ შემო-სსენებულს სკლადს, სადაც ფქვილი იმავე ფასად გაიყიდება, როგორც თვით ოდესაში წისძვილზედა შასობს, მხოლოდ მოემატება ბათუმში გადასატანი ხარჯი.

შვეილის თვისებაზედ ბევრს არ ვილაპარაკებ: ამ ფქვილის მაღალი ღირსებამ ყველამ იცის. რაც შეეხება ღირებულად და უტყუერად გაგზანას, ამაში სკლადი კისრულობს პასუხის ვებას. აგენტი სიმ. ვოლქენზონი. (5—3)

Открыта подписка на 1884 годъ на политическую и литературную газету

„ВОСТОКЪ“

(Organъ православныхъ восточныхъ народовъ, издается съ 1879 г. безъ предварительной цензуры).

За годъ съ достав. и пересыл. 8 р.; за полг. 4 р. 50 к.

Для заграничн. подписч. 10 р.; за полг. 5 р.

Подписка принимается въ Москвѣ въ редакци газеты «Востокъ», у Малаго Каменнаго моста, д. Полякова, въ Одессѣ у П. Ю. Вучина, на Итальянской улицѣ. (5—2)


3. რულუიკის სხვაგვ

ქეთისში იბეჭდება და გამოვა 15 დეკემბრისათვის ქართული «მალის ძალმადარი», სადაც იქნება სომხური დღესასწაულების ცნობები და ისტორიული შემთხვევები.

ფასი სამი აბაზი ას-ასობით შეიღველებს წესიერი პატივი.

ისეილება «მეშხის ტუამსანი» შ. რუსთველის თხზულებას სურათით, ათი შური, უსურათოდ შეიღვი შური ას-ასობით შეიღველებს წესიერი პატივი. (30—5)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთის საწოლი 7 მანეთადგან და ორის საწოლი 14 მანეთადგან, მათი ლეიბები, ზღვის ბაღსით გატანილი 5-დგან 8 მანეთამდინ. კიდევ შემდეგი ნივთები იყიდება 25%-ით უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე: ბრატანის მუტალის ნივთები, ჩაიდნები, სკარაქე, საქაქე, ჩაისა და სტოლის გოგუბი ჩანგ.

ინგლისის მალაზიაში

თიის-აგოაჟანი მამ-განსჯარი

ამაგრებს თმას და აღრინდელ ფერს აძლევს, ფასი ერთი მუშისა 2 მან., გავსაზნით 2 მანეთი და 28 კან. (100—71)

მაზანდო

ხორავისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელდა-ხელ 1 დეკემბრიდამ 15 დეკემბრამდე 1883 წ.

| | | | |
|---|---|--------|-------|
| გამომცხვარი შური რუსთის ფქვილისა | — | 1 გირ. | 5 კ. |
| აჭაურის ფქვილისა: შირქელის ხარისხისა | — | 1 გ. | 2 1/2 |
| მეორისა | — | 1 გ. | 2 გ. |
| ამავე ფქვილ. თორნში გამომცხვარი: შირქელის ხარისხისა | — | 1 გ. | 5 გ. |
| მეორისა | — | 1 გ. | 3 გ. |
| მესამისა | — | 1 გ. | 2 1/2 |

| | | |
|--|----|-----------|
| ჭვარის-მამის შური: შირქელის ხარის. ლავში 1 | გ. | 5 გ. |
| მეორის ხარის. ლავში 1 | გ. | 3 1/2 |
| მესამისა | — | 1 გ. 3 გ. |

| | | | |
|----------------------------------|---|------|-------|
| ძროხის ხორცი: შირქელის ხარისხისა | — | 1 გ. | 8 გ. |
| მეორის | — | 1 გ. | 7 გ. |
| სუგა | — | 1 გ. | 15 გ. |
| ცხვრის ხორცი | — | 1 გ. | 8 გ. |

| | | | |
|---------------------------------|---|------|------|
| ღორის ღორცი: შირქელის ხარისხისა | — | 1 გ. | 8 გ. |
| მეორის | — | 1 გ. | 7 გ. |

ლეითა, ფადნოსი, დასადგმელი, შირის-სახანი, სტაქები, ქუთუნი, ქუთუნი, ქუთუნი, თეფები, ბლუდები, სასალათები, ტაშები, სარძევეები, სამარილები, გარჩინის საფეხები, უნაგირები კაცისა და ქალისა, აღვირები, ხლისტები, ტანის-მოსის დასაკიდებლები, საბაღო მაკრატლები, გაქები, უთოები, წისქვილები, ხერხები, ქალები, კლიტები, ინგლისის თოფები და რეკლავები, შიქები, ზარბაღები, კაშისოლები, საფანჯები, ნინები, გატარებები, სახნები, ხელქები, წინდები, სუფრები, სალქტებისათვის რგოლები, ემაღანის ჭურჭელი, მურაბები, გამჭეტები, შიქები, სოუსები, ზღვის ბაღსი, დამიჯიტონები და სხ. ინგლისურს მალაზიაში №№ 156, 157, 158, 159 და 160. ამ ნომრებს უჭრადლება მიაქციეთ. (100—27)

5 ნაშარი ვიწა

იყიდება იაფად მტკერის ნაპირზე ახალი ხიდის მახლობლად ინგლისურს მალაზიაში. იქვე მიიღეს ბლომად: წისქვილები, ქალაღი, კალმები, ჩაი, ბისკვიტი, კოვები, ჩანგლანა დაწები, 550 ინგლისური და ჭრანცუხული კრაოტები ყმაწვილებისა და კაცებისა 7 მანეთი, ესე იგი 25% უფრო იაფად, ვიდრე სხვაგან სადმე. მალაზიას ყურადღება უნდა მიაქციოთ, რომ არ შეგეშალოთ. (6—5)

რკინის გზა

თბილისიდან ქუთაისისკენ მიდის 8 საათზედ და 31 წამ. დილით. თბილისიდან ხაშურამდინ 3 საათ. და 11 წამ. შუადღის უკან. თბილისიდან ბაქოსკენ 11 საათზედ და 11 წამ. ღამისა. ბაქოდან თბილისისკენ 10 საათზედ და 23 წამ. დილისა. ქუთაისიდან თბილისისკენ 12 საათ. და 25 წამ. შუადღ. უკან. ქუთაისიდან ბათუმისა და ფოთისკენ 5 საათზედ და 20 წამ. შუადღის უკან. ბათუმიდან თბილისისკენ 8 საათ. დილისა. ფოთიდან თბილისისკენ 8 საათ. და 45 წამ. დილისა. ფოთიდან ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის 10 საათზედ და 25 წამ. ღამისა. ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში 7 საათ. და 49 წამ. დილისა.